

# კიტრის მოყვანის პრაქტიკული ცნობარი



ჩნდება მურა ფერის პატარა ლაქები, რომლებიც დიდდება და სხვადასხვა ფორმას იღებს (მოგრძო, მრგვალი და სხვა). ლაქის ზრდა სიღრმეშიც ხდება. კიტრის ნაყოფში შეჭრილი მიცელიუმი სიღრმეში ვრცელდება და მთელი ნაყოფის დაღობას იწვევს. სოკოს ნაყოფიანობა ჩნდება ლაქებზე ხავერდოვანი მურა ფერის ლაქების სახით.

**ბრძოლა:** რიდომილი მც ან რიდომილ გოლდი 0,25%, სპილენძის ქლორჟანგი 0,5%, ბორდოს სითხე 0,5%.

## კიტრის მოსავალი და კიტრის მოკრეფა

მცენარეები მსხმოიარობას იწყებენ დათესვიდან 50-60 დღის შემდეგ. ამ დროიდან აუცილებელია ნაყოფების რეგულარული კრეფა – მასიური მსხმოიარობის პერიოდში ყოველდღე ან ყოველ 2 დღეში. კრეფენ არა მარტო სასაქონლო სახის მქონე ნაყოფებს, არამედ დეფორმირებულ (მოღუნული), ავადმყოფ, დაზიანებულ, გადაზრდილ ნაყოფებსაც, რადგან ისინი ფიტავენ მცენარეს და აფერხებენ ახალი ნასკვების წარმოქმნას.

ზემოთაღნიშნული უწყებების სპეციალისტების მიერ შემუშავდა ცნობარი, რომელიც დაეხმარება მცირე ბიზნესში დასაქმებით დაინტერესებულ პირებს მინიმალური დანახარჯების გაწევით დაკავდნენ მიკრომეწარმეობის სექტორში კონკრეტული მიმართულების საქმიანობით.

წარმოდგენილი ცნობარი ითვალისწინებს დაინტერესებულ პირთათვის აუცილებელი ინფორმაციის მიწოდებას კიტრის მოშენების, მოვლის აგროწესების, დაავადებებთან ბრძოლის საშუალებებისა და ნაყოფის კრეფის შესახებ.

**ბრძოლა:** ბრძოლის ღონისძიებას ვიწყებთ სისტემური ფუნგიციდებით (რიდომილ გოლდი) და შემდეგ ვაგრძელებთ კონტაქტურით (ანტრაკოლი, სპილენძის ქლორჟანგი, ბორდოლის სითხე).

**კიტრის ნაყოფების მურა ლაქიანობა** – აღნიშნული სოკო აავადებს კიტრის ნაყოფებს. იშვიათად გვხვდება ტოტებზე და ფოთლებზე. ნაყოფის დაავადების დროს

სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების  
განვითარების სააგენტო  
აფხაზეთის ა/რ სოფლის მეურნეობის  
დეპარტამენტი

ქ. თბილისი

2014 წ.

**კიტრი (*Cucumis sativus*)** ერთწლოვანი, ორლებნიანი მცენარეა, გოგრისებრთა ოჯახიდან, მხვიარა ღეროთი. კიტრის დამტვერვას ახდენენ მწერები (ფუტკრები). საკვებად გამოიყენება მოუმწიფებელი ნაყოფები. მცენარის განვითარებისათვის აუცილებელია თბილი კლიმატური პირობები, არანაკლებ 12-15 C<sup>0</sup>. აუცილებელია განათებული, საკვები ელემენტებით მდიდარი ნიადაგი. ნიადაგი უნდა მომზადდეს შემოდგომაზე, სრულ სიღრმეზე დამუშავებით. გაზაფხულზე 1-მ<sup>2</sup>-ზე შეაქვთ 10-15კგ. ნაკელი, 20გრ. შარდოვანა ან 30გრ. ამონიუმის გვარჯილა, 30გრ. კალიუმის ქლორიდი ან 20გრ. კალიუმის სულფატი. თესლის ჩათესვის სიღრმე 1,5-2სმ-ია, თესლის რაოდენობა 1გრ. 1მ<sup>2</sup>-ზე. მცენარეთა შორის მანძილი 3-5სმ-ია. პირველი, ნამდვილი ფოთლების გამოჩენისას მცენარეებს გამოხშირავენ. იმისათვის, რომ დავაჩქაროთ მდედრობითი ყვავილების წარმოქმნა საგვიანო ჯიშებზე, უნდა წავატეხოთ ზრდის წერტილი მეხუთე ფოთლის ზემოთ. ჩითილებით გამოყვანის მეთოდი აჩქარებს მოსავლის მიღებას 10-15 დღით. მათ რგავენ მწკრივებად, მცენარეთა შორის 20-40სმ. დაშორებით, მწკრივებს შორის სუსტად მზარდი მცენარეებისათვის 70-80სმ, საშუალო და ძლიერ მზარდი მცენარეებისათვის 90-100 სმ. დაშორებით.

### კიტრის მოვლა

გამოხშირვის შემდეგ მცენარეებს უტარებენ გამოკვებას მინერალური და ორგანული სასუქებით. მინერალური გამოკვებისას 10ლ. წყალში ხსნიან 15გ. შარდოვანას ან 20 გრ. ამონიუმის გვარჯილას, 30გრ. სუპერფოსფატს და 20გრ. კალიუმის სულფატს. ორგანული სასუქით გამოსაკვებად იყენებენ 1:10 წყალში გახსნილ ნაკელს, ან 1:5 წუნწუხს – 5 ლიტრი 1მ<sup>2</sup>-ზე. გამოკვების შემდეგ მცენარეებს რწყავენ

სუფთა წყლით, რათა მცენარეთა ფოთლებიდან ჩამოირეცხოს სასუქის ნარჩენები.

კიტრს გვალვიან ზაფხულში რწყავენ ხშირად. მორწყვის ნორმა დამოკიდებულია მცენარის მდგომარეობაზე. ახალგაზრდა მცენარეები მოიხმარენ ცოტა წყალს და მათ რწყავენ ზომიერად (5-10 ლიტრი 1მ<sup>2</sup>). ყვავილობის ფაზაში რწყვას წვეტენ და ანახლებენ მსხმოიარობის დაწყებისას გაზრდილი ნორმებით (15-20 ლ/მ<sup>2</sup>). მორწყვის შემდეგ რიგთაშორისებს აფხვიერებენ.

### კიტრის ჯიშები

**კიტრი „ზაზულია“** – საადრეო, საშუალოდ დატოტვილი ჰიბრიდია. მსხმოიარობაში შედის აღმოცენებიდან 50 დღეში. ის არის ცილინდრული ფორმის, 16-20 სმ. სიგრძისა და 150-170 გრამიანი ნაყოფებით, ხორკლიანი ზედაპირით.

**კიტრი „აპრელსკი“** – ყველა მონაცემებით ზაზულიას მსგავსია.

**კიტრი „მაისკი“** – საადრეო, ფუტკარმტვერია (არაპარტენოკარპიკი). მსხმოიარობას იწყებს აღმონაცენის გამოჩენიდან 50-55 დღეში. მცენარე ძლიერ მზარდია.

**კიტრი „კრისტალი“** – საადრეო ფუტკარმტვერია. პირველი ნაყოფები ფორმირდება აღმოცენებიდან 50-55 დღეში. ახასიათებს ერთდროული შემოსვლა.

**Samarkand Mix F1** – ფუტკარმტვერია. (მწარმოებელია ჰოლანდიური კომპანია „შემინის“). ნაყოფის ზედაპირი გლუვია, ხორკლების გარეშე, 18-20სმ. სიგრძის. ჰიბრიდი საადრეოა, ხანგრძლივად სიცოცხლის უნარიანი და მაღალი სიცხეების ამტანი. აქვს გემრიელი ნაყოფი – ბოლოებში ყოველგვარი სიმწარის გარეშე.

### კიტრის მავნებლები

**ბუგრები** (*ბაღჩის ბუგრი, ატმის (თამბაქოს) ბუგრი*) - სახლდებიან უპირატესად ახალგაზრდა ფოთლების ქვედა მხარეზე, ასევე ყლორტებზე და წუწვნით აზიანებენ მათ. ფოთლები უფერულდება, იკრუნჩხება და შემდეგ ხმება. საბოლოო ჯამში მცენარე იღუპება.

**ბუგრების წინამდღევ ვიყენებთ:** აქტელიკს 0.15%, კარბოფოსს 0,1%, კონფიდორი 0,02%.

**აბლაბუდა ტკიპა** – წუწვის ფოთლებს, ფოთლის და ნაყოფის ყუნწებს, აჩენს მათზე წინწკლებს, ფოთლები უფერულდება და ცვივა.

**საბრძოლველად გამოიყენება** 0,15 % აქტელიკი, 0,1 % კარბოფოსი, 0,2% ნეორონი, 0,03-0,05% ნისორანი, 0,03-0,05% სანმაიტი.

### კიტრის დაავადებები

**ნაცარი** – დაავადება დასაწყისში ფოთლებზე ნაზი ფიფქის სახით ვითარდება, შემდეგ კი ფოთოლი და ყუნწი მთლიანად მუქი ნაცრისფერი ფიფქით იფარება. ფოთლები ყვითლდება, ჭკნება და ნაყოფი ვეღარ სრულდება. მცენარე ნაადრევად ხმება.

**ბრძოლა:** ნაცრის პირველი ნიშნების გამოჩენისთანავე, ტარდება შესხურება ფუნგიციდებით: ბაილეტონი 0,01%, ტოპაზი 0,02%, კოლოიდური გოგირდი 0,5-1%.

**კიტრის ჭრაქი** (პერენესპოროზი) – ჭრაქით დაავადებული ფოთოლი ხმება და ადვილად იფშენება. დაავადება ინტენსიურად ვითარდება ჭარბი ტენის პირობებში, ოპტიმალური ტემპერატურა 15-20 C<sup>0</sup>.

**ბრძოლა:** ბრძოლის ღონისძიებას ვიწყებთ სისტემური ფუნქციდებით (რიდომილ გოლდი) და შემდეგ ვაგრძელებთ კონტაქტურით (ანტრაკოლი, სპილენძის ქლორჟანგი, ბორდოულის სითხე).